

# ახალი თემა



## საჩინო საბაჟოზე ხელნაკეთი ბოგბი იპოვეს?



შაბათი – კვირა, 29 – 30 ოქტომბერი, 2016

№257 (7183)


ფასი: 50 თეთრი

# ნაციონალური „ქართულ რუსებაში“ შეიჭრნენ



გვ.2

„ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებული განცხადება არის აბსოლუტურად ცრუ ბრალდება. პარტიის გორის ორგანიზაციის შტაბის წევრები იმყოფებოდნენ დევნილთა ჩასახლებაში, როდესაც „ქართული ოცნების“ შტაბში შენიშნეს საჯარო მოხელეები, გამგებლის მოადგილეები, სამსახურის უფროსები, რაზეც ჩვენი შტაბის ერთ-ერთმა წევრმა მიუთითა, რომ ეს იყო კანონდარღვევა. ამ მითითებას მათი აგრესია მოჰყვა. ფიზიკურად გაუსწორდნენ გორის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივან კახა ლობჯანიძეს“



## „თურქეთმა საქართველო გააფრთხილა“



ზაალ კასრელიშვილი: „ვილაცას უნდა, რომ საქართველო რუსეთისკენ შებრუნდეს“



## მამუკა არაუიქა: „მარნეულში მიმდინარე პროცესებში მესამე ქვეყანა ერევა“



გვ.4

## რა განსაზღვრავს გურჯაანის კლინიკაში 59 წლის ქალის დასახიჩრებინა და გარდაცვალების მიზეზი?



გვ.4

## ქუთაისში საკინრო კვითის შემდეგ ახალგაზრდა ქალი დაიღუპა



გვ.4

## „საფინანსო კომპანია საქართველო“ შეანაბრებს პროცენტს არ უხდის



გვ.6

სტოლტენბერგი: „ნატო უნდა იყოს ძლიერი და ერთიანი, რათა აღკვეთოს რუსეთის შესაძლო აგრესია“



გვ.2

## რას მოუტანს საქართველოს ნატოს გააქტიურება შავი ზღვის რეგიონში



გვ.3

## თინა ხიდაშელი: „სამხედრო ობიექტები შემოღობილნი კი არ არის“

თავდაცვის ყოფილი მინისტრი „კრწანისის“ ინციდენტზე საუბრობს



გახდება თუ არა საქართველო ახალი დაპირისპირების პოლიგონი



გვ.5



გვ.6

## ლარი ღირსითან გაუფასურდა, ევროსთან კი გამყარდა



# ნაციონალური „ქართულ ოცნებაში“ შეიჭრნენ

შორენა მარსაგიშვილი

გორის რაიონის სოფელი კარალეთი, შესაძლოა, პოლიტიკის წარმოებულ ყველაზე სახიფათო ადგილად გამოცხადდეს. 2012 წელს, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, აქ ნამდვილი ქვევის წვიმა მოვიდა. ქვებით ნაციონალური ოპოზიციის მყოფ მეოცნებებს გაუმასპინძლდნენ.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურამდე 2 დღით ადრე კი, კარალეთში ნაციონალური „ოცნების“ საარჩევნო შტაბში შეიჭრნენ და იქ მყოფებს უშვერი სიტყვებით აგინეს.

მომხდართან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო მორიგი პროვოკაცია. კერძოდ, მისი წევრები შეიჭრნენ „ქართული ოცნების“ კარალეთის შტაბში და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენეს შტაბის თანამშრომლებს.

ნაციონალურმა მოძრაობამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა საკუთარი სახე, რომ ძალადობა, პროვოკაციები და მუქარა არის მათი მოქმედების სტილი. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მიზანია, არჩევნების მეორე ტური ჩატარდეს მშვიდობიან, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

მეოცნებეების ვერსია კატეგორიულად უარყო ნაციონალურმა მოძრაობამ. პარტიის გორის მაჟორიტარობის კანდიდატმა ბადრი ბასიშვილმა განაცხადა, რომ არეულობა და დებოში „ქართულმა ოცნებამ“ მოაწყო.

მისი თქმით, მომხდარ ინციდენტში გორის გამგებლის მოადგილეები და გამგეობის სხვა თანამშრომლები მონაწილეობდნენ, რომლებიც „ქართული ოცნების“ შტაბში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა შემთხვევით დააფიქსირეს.

ბასიშვილს თუ დავუჯერებთ, ნაციონალური „ოცნების“ შტაბ-



ში მხოლოდ იმიტომ შევიდნენ, რომ ამ კანონდარღვევასთან დაკავშირებით პროტესტი გამოეთქვათ.

– „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებული განცხადება არის აბსოლუტურად ცრუ ბრალდება. პარტიის გორის ორგანიზაციის შტაბის წევრები იმყოფებოდნენ დევენილთა ჩასახლებაში, როდესაც „ქართული ოცნების“ შტაბში შენიშნეს საჯარო მოხელეები, გამგებლის მოადგილეები, სამსახურის უფროსები, რაზეც ჩვენი შტაბის ერთ-ერთმა წევრმა მიუთითა, რომ ეს იყო კანონდარღვევა.

მოგეხსენებათ, სამუშაო საათებში საჯარო მოხელეებს საარჩევნო შტაბში ყოფნის უფლება არ აქვთ. ამ მითითებას მათი



აგრესია მოჰყვა. ფიზიკურად გაუსწორდნენ გორის ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივან კახა ლობჯინიძეს, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში ბასიშვილმა.

მისი განცხადებით, ეს ყველაფერი გადაღებულია და „ქართული ოცნება“ თავის გამართლებას ვერ შეძლებს. ბასიშვილი იმის გამოც ჩივის, რომ მოძალადე მეოცნებეებმა ყურნალისტებიც დააზარალეს.

– ეს ყველაფერი დააფიქსირა ტელეკომპანია „თრიალეთმა“, შეურაცხყოფა მიიყენეს გადაღებულ ჯგუფსაც. კარალეთის ინციდენტის პროვოცირება მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. არსებობს ვიდეო და აუდიო მასალაც, – განაცხადა დემუტატობის კანდიდატმა.

## რას მოუტანს საქართველოს ნატოს გააქტიურება შავი ზღვის რეგიონში

სტოლტენბერგი: „ნატო უნდა იყოს ძლიერი და ერთიანი, რათა აღკვეთოს რუსეთის შესაძლო აგრესია“

ნატოს წევრი ქვეყნები მზად არიან, კონკრეტული ნაბიჯები გადადგან წარმომადგენლობის გასაზრდელად შავი ზღვის რეგიონში, რასაც საფუძვლად უდევს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება.

ჯერჯერობით უცნობია კონკრეტული გეგმა და დეტალები, მაგრამ უდავოა, რომ ალიანსის ძალისხმევა რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამ კონტექსტში საქართველოც ახსენა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 26 ოქტომბერს, თავდაცვის მინისტრიალის პირველი საპრესკონფერენციის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გასაძლიერებელი გეგმებისთვის ნატოს მიმართ მადლიერებას გამოხატავენ თბილისში.

განამტკიცებს თუ არა ნატოს ახალი ჩანაფიქრი საქართველოს უსაფრთხოებას და შეძლებს თუ არა ეს ინიციატივა რუსეთის აგრესიის შეკავებას?

– ნატო ყოველთვის ასრულებს თავის სიტყვას, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა და ყურნალისტებს ამცნო, რომ უკვე დაიწყო ხორცშესხმა ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებამ – შავი ზღვის რეგიონში ალიანსის ყოფნის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

იენს სტოლტენბერგი განმარტავს, რომ საუბარია როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო ყოფნის გაძლიერებაზე და რომ პროცესში მონაწილეობისთვის უკვე მზადაა ჩქვეყანა. ესენია: კანადა, გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი, თურქეთი და შეერთებული შტატები.

– ამ პროცესში წვლილის შეტანის შესაძლებლობებზე ასევე ფიქრობენ ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოებიც, – დასძინა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, ბევრი რამ უკვე შეთანხმებულია, მაგრამ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული ერთიანი გეგმის დამუშავებაზე, რომლის განხილვა, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება თებერვალში, ალიანსის თავდაცვის მინისტრების მომავალ თავ-



ყრილობაზე.

მანამდე კი მინისტრიალის პირველ დღეს ნატოს თავდაცვის მინისტრებმა იმსჯელეს ნატოს საზღვაო რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო აქტივობაზე, მათ შორის, სამხედრო სწავლებაზე – „კავკასია 2016“ და რუსეთის მიერ „ისკანდერის“ ტიპის სარაკეტო კომპლექსების განლაგებაზე კალინინგრადში.

პრესკონფერენციაზე სტოლტენბერგმა რუსეთთან დიალოგისთვის დატოვებულ გზებზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთთან დიალოგი შედგება, მაგრამ, პარალელურად, საჭიროა ფიქრი თავდაცვისა და შეკავების მექანიზმებზე.

– ნატოს არ სურს დაპირისპირება რუსეთთან. ჩვენ არ გვინდა ახალი ცივი ომი, არ გვინდა გამაღებული შეიარაღება და ამიტომ, რასაც ნატო აკეთებს, ეს მხოლოდ თავდაცვითი, დამაბალანსებელი ზომებია.

სტოლტენბერგმა საზოგადოებას, რომ რუსეთი არსებითად ზრდის თავის სამხედრო წარმომადგენლობას, აახლებს საბრძოლო შესაძლებლობებს.

– და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ვხედავთ მის მზაობას, გამოიყენოს სამხედრო ძალა მეზობლების წინააღმდეგ. უკრაინის ყირიმი და ასევე საქართველოც მომსწრეა მუქარის შემ-

ცველი რიტორიკისა რუსეთის მხრიდან, – აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

მან თქვა, რომ ნატო ვალდებულია, უზასუროს რუსეთს და განაგრძოს საიმპო შეკავების უზრუნველყოფა უსაფრთხოების ახალ გარემოში.

– ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მიზეზი, რის გამოც ნატო ძლიერია, არის არა ის, რომ ჩვენ კონფლიქტის პროვოცირებას ვცდილობთ, არამედ ის, რომ ჩვენ გვინდა კონფლიქტის აღკვეთა. ამის გასაკეთებლად კი ყველაზე სწორი გზაა, ვიყოთ ძლიერი, ერთიანი და გვექონდეს მტკიცე პასუხი, – დასძინა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

\*\*\*

ის, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე საუბრისას იენს სტოლტენბერგმა საგანგებოდ ახსენა საქართველო, არ გასაკვირვებიათ ანალიტიკოსთა წრეში.

მაგალითად, ირაკლი ალადაშვილმა რადიო თავისუფლებასთან განაცხადა, რომ ნატო ახლო წარსულში დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ცდილობს.

– ნატოს გამოეპარა ის მომენტი, როდესაც რუსეთმა დაიწყო გაძლიერება შავ ზღვაში. სწორედ ეს მომენტი დადგა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც რუსეთმა განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და, მათ შორის, შავი ზღვის მიმართულებიდან, როდესაც საზღვაო დესანტი გადმოსხა ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ – ოჩამჩირის რაიონში. მაშინ რუსეთიც მიხვდა, რომ მისი სადესანტო საშუალებები უკვე ძალიან ჩამორჩენილი და მოკრძალებული იყო და ამის შემდეგ დაიწყო მისი განვითარება, რაც გამოიწვია უკრაინის ყირიმის ანექსიის დროს, – განაცხადა ანალიტიკოსმა.

ირაკლი ალადაშვილის თქმით, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, ნატოს ჩანაფიქრის ხორცშესხმა დიდწილად დამოკიდებული იქნება თურქეთის პოზიციაზე.

მართალია, თურქეთიც გამოხატავს მზადყოფნას ნატოს გეგმების განხორციელების პროცესში, მაგრამ ანალიტიკოსების დიდი ნაწილი

ბოლო პერიოდში საკმაოდ შემამოფთხებლად მიიჩნევს ანკარისა და მოსკოვის უჩვეულო დამეგობრებას, რის მიღმაც შესაძლოა, არცთუ სასარბიელო პროცესები იმალეობდეს.

ანალიტიკოსებისთვის ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, როგორი რეაქცია ექნება რუსეთს ნატოს ახალი ჩანაფიქრის განხორციელების კვალდაკვალ.

თუკი ერთნი თვლიან, რომ ეს შესაძლოა რუსეთის აგრესიის შემაკავებელ ფაქტორად იქცეს და საქართველოს უსაფრთხოებაც განამტკიცოს, სხვათა მოსაზრებით, ამან, შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს რუსეთიდან მომავალი აგრესიის ნაკადი.

თუმცა, ანალიტიკოსების შეფასებით, ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა დოზით ჩაერთვება საქართველო შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში.

როგორც ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ვარაუდობს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას, საქართველოს აქტივობამ ამ პროცესში ძალიან მოზომილი იქნება:

– ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს იმავე პოლიტიკას, რასაც აქამდე ატარებდა – მოზომილი განცხადებებით, მოზომილი აქტიურობით და მოზომილი ჩართულობით ნატოს ღონისძიებებში. ასეთი იქნება, ჩემი აზრით, ოფიციალური თბილისის პოლიტიკა ამ მიმართულებით.

საქართველო მიესალმება ნატოს მიერ ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების ხორცშესხმას.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აღნიშნავს 27 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილობით განცხადებაში, საქართველო, საკუთარი ფორმატების ფარგლებში, მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ალიანსის დისკუსიებში და მზად არის, განაგრძოს საკუთარი წვლილის შეტანა ევროატლანტიკური სივრცისა და მისი განუყოფელი ნაწილის, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში.

მინისტრი მისასალმებელს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ნატო არა მხოლოდ გააძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას და აქტივობებს შავი ზღვის რეგიონში, არამედ, ასევე, მხარს დაუჭერს სანაპირო ქვეყნების ძალისხმევას რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ნიუსბრესი

**ახალი თაობა**

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი  
 მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი  
 რედაქტორი – ლალი ალაბინაშვილი  
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

განთი  
 გამოდის  
 1993 წლის  
 23 ივლისიდან

კონსულტანტები  
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი  
 საინჟინერო სამსახური – ვლარა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55  
 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი  
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავშირება – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.  
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91  
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru  
 რედაქციამ შემოხული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსდება მასალები, სურათები და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# „თურქეთმა საქართველო გააფრთხილა“

## ზაალ კასრელიშვილი: „ვილაცას უნდა, რომ საქართველო რუსეთისკენ შებრუნდეს“

ზორენა მარსაგიშვილი

რა ხდება საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ვის და რატომ უნდა საქართველოში ანტიისლამური განწყობის გაძლიერება, რატომ არ უნდა ვთქვათ რუსეთთან დიალოგზე უარი, რას უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ ყურადღება? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.



საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების გადაადგილება კი ახლად გამოჩენილი პოლიტიკოსების ანტითურქულ განცხადებებს დაემთხვა. გუშინდელმა დედიკოს ბიჭებმა, შესაძლოა, საქართველოს სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ განცხადებების საპასუხოდ გაართულა თურქეთმა თავის საზღვარზე გადაადგილება?**

— ამაზე რაიმე კონკრეტულ პასუხს ვერ გაცემთ. როგორც უკვე გითხარით, ჩვენი ორგანიზაციის წევრები ამაოდ ცდილობენ ზუსტი მიზეზების დადგენას. ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სხვა ტიპის განცხადებებს გავაკვირდებით.

თურქულმა მხარემ ეს გადაწყვეტილება თუ ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის განცხადებების საპასუხოდ მიიღო, მაშინ საქმე არის ძალიან რთულად. ისიც ძალიან ცუდი იქნება თუ დამტკიცდება, რომ შეიარაღებული მამაკაცი საქართველოს ტერიტორიაზე აპირებდა შემოღწევას. შემთხვევითი არც ის ალღუმა, რომელიც რამდენიმე თვის წინ ფონიჭალაში გაიმართა.

**— რა ალღუმზე საუბრობთ?**

— ვაპაბიტების ალღუმზე მოგახსენებთ. მინდა, რომ ხელისუფლებამ ამ ყველაფერს ძალიან სერიოზულად შეხედოს და გააცნობიეროს, რომ პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება.

ჩვენი საზღვრების სიახლოვეს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, სულ ახლო წარსულში ვაპაბიტებზე აქტიურად საუბრობდნენ. ეს ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის ტყეებს აფარებს თავს და კვლავ ვაპაბიტები არიან. თუმცა რუსები მათ ამ სახელით აღარ მოიხსენიებენ და მათ პარტიზანების უწოდებენ. ეს ძალიან სახიფათო ამბავია.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას გულისხმობ, რომ ვილაცას ძალიან უნდა, რომ ვაპაბიტების აქტიუობა ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოიტანოს.

**— ეს ვილაცა რუსეთია?**

— ეს სპეცსამსახურებმა უნდა დაადგინონ. არაა გამორიცხული, რომ თურქეთის ტერიტორიაზე შაჰიდის დაკავებაც ამ პროცესებთან



იყოს კავშირი. ჩვენ მხოლოდ ამ პირის ეროვნების გარკვევა გვინტერესებს და დანარჩენს ჩვენ დაგვადგენთ. ბევრი რამე ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოში საეჭვოდ ძლიერდება ანტიისლამური და ანტითურქული განწყობა. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს — საქართველოს მოსახლეობა შებრუნდეს რუსეთისკენ. ვილაცებს უნდათ იმის დამტკიცება, რომ რადიკალი ისლამისტებისგან რუსეთი დაგვიცავს.

ვისაც ამ ზღაპრის სჯერა, მინდა, იმედი გავუტყუო და ვუთხრა, რომ რუსეთი ვერავისგან ვერ დაიცავს. ისინი ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ საკუთარ თავსაც ვერ იცავენ. ასე რომ, რუსეთის გულის მოგების სანაცვლოდ თურქეთის გადამტერება არ ღირს. ეს ქვეყანა ისედაც გაგანაწყენეთ და სარფში მიმდინარე პროცესების ამის დადასტურებაა.

**— ამ ამბებით თურქეთი გვაშინებს თუ გვაფრთხილებს?**

— თურქეთმა არაპირდაპირ დაგვიფიქსირა, რომ თუ საზღვარს ჩაგვიკეტავს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი მშვიდი მოკვდება. შაჰიდის გამოჩენაც აფრთხილება უნდა იყოს. შესაძლოა, თურქეთი გვეუბნება, რომ თუ სწორად არ მოვიქცევით, ისინი ჩვენს ტერიტორიაზე ცუდ ადამიანებს შემოუშვებენ.

**— ცუდ ადამიანებში ვის გულისხმობთ?**

— იმ ადამიანებს, ვისაც აქ ვითარების არევა უნდა. ასეთი ხალხი ჩვენთანაც ძალიან ბევრია და ცუდი იქნება, თუ კიდევ დამატებით შემოვა ვინმე. ეს თურქეთშიც კარგად იცინა.

**— გინდათ თქვათ, რომ თურქეთმა ყვითელი ბარათი გვაჩვენა?**

— ასე ხელალებით ვერ ვიტყვი. შესაძლოა, ყველაფერი ისეა, როგორც ოფიციალურ გან-

ცხადებებშია საუბარი. ჩვენ ის გვაეჭვებს, რომ ყველაფერი ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა. კიდევ ერთხელ ვამბობ, საქართველოში ძალიან საეჭვოდ გააქტიურდა ანტითურქული კამპანია, რაც ძალიან ცუდია.

აქვე მინდა ვთქვა ერთი რამე, რომ თურქეთს და რუსეთს საქართველოსთან თამაში, შესაძლოა, ცუდად დაუთავრდეთ. ძალიან შემცდარან, თუ ჰგონიათ, რომ ან ერთზე და ან მეორეზე ზემოქმედების ბერკეტები არ გვაქვს.

**— რა ბერკეტებზეა საუბარი?**

— აქ ვერ დავასახელებ. საშინაო დავალები ორივესთვის ბევრი გვაქვს მომზადებული. იდაყვზე კენჭა შესაძლოა დაგვიანებული იყოს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ორივე მუზონელი ტოლად და სწორად დაგველაპარაკება. ჩვენი ერთი ცოტა სხვანაირი მოქცევის იმსახურებს და საშოვარზე ნასულ კასპებზე დაყრდნობით ნუ შეგვაფასებენ.

**— ამბობთ, რომ რუსეთი ისე უნდა დაგველაპარაკოს, როგორც თავის ტოლ-სწორს. საქართველოში ბოლო დროს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე ბევრი ალაპარაკდა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც ერთგვარი ენის მოჩვენებით ესაუბრებიან ჩრდილოეთ მეზობელს. ენის მოჩვენებით საუბარი გამოიღებს რაიმე შედეგს?**

— რუსეთთან პოლიტიკის შერბილება აშკარაა. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა მოსკოვთან. ეს ურთიერთობები სააკაშვილის მმართველობის ხანაში ხელოვნურად ზემოქმედდა დაძაბული და გაბერებული იყო. ახლა ეს ხელოვნურობა მოხსნილი და ამიტომაც ჩანს პოლიტიკა შერბილებული. ამასთან, არ გამოერიცხავ, რომ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენლებს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურდას.

რუსეთთან დასათმობი და ენისმოსაჩლე-ქი აღარაფერი გვაქვს, მაგრამ დიალოგი აუცილებელია, განსაკუთრებით ახლა, როცა პროცესები ჩვენ სასარგებლოდ მიდის.

**— რა პროცესები მიდის ჩვენ სასარგებლოდ?**

— საქართველო ნატოს ინტერესის სფეროა. 6 ქვეყანა შვი ზღვის უსაფრთხოებაზე იღებს პასუხისმგებლობას. ვინმეს უნდა თუ არა, საქართველო და უკრაინა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იქნება დაცული. უნდა თუ არა ვინმეს, პროცესები საქართველოს სასარგებლოდ მიდის.

**— ეგ იმას ნიშნავს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებაც საქართველოს სასარგებლოდ დასრულდება?**

— რამე რომ დასრულდეს, ის ჯერ უნდა დაიწყოს. დიალოგი აუცილებელია, დასაწყის, უნდა დაველაპარაკოთ რუსეთს და გავაგებინოთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, საქართველო ასე იოლად ხელნაშაპავი არ არის. როგორც უკვე გითხარით, საქართველოს მასზე, ისევე, როგორც თურქეთზე, ზემოქმედების ბევრი ბერკეტი აქვს.

# თინა ხიდაშელი: „სამხედრო ობიექტები უპირობოდ უნდა იქნას დაცული“



თავდაცვის ყოფილი მინისტრი „კრწანისის“ ინციდენტზე საუბრობს

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა კრწანისის ინციდენტთან დაკავშირებით მოქმედი მინისტრის განცხადებები გააკრიტიკა და თქვა, რომ ლევან იზორიამ მეორე დილასვე რეცეპტი გამოიწერა და დასკვნაც დაწერა.

— არ მინდა დავუმსგავსო დღევანდელ თავდაცვის მინისტრს, რომელმაც მეორე დილასვე რეცეპტი გამოიწერა, დასკვნაც დაწერა, კი იხახდა, გამოიძიე მიმდინარეობსო, მაგრამ ყველაფერი მოგვიყვა, თითქოს იქ იმყოფებოდა. მას ალბათ არ ახსოვს, მსგავსი ნაქარვევი განცხადებები როგორ მთავრდებოდა. დავულოდები გამოიძიებას, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი აზრით, ის, რაც დღემდე მოვიხსენიებთ, იმდენად წინააღმდეგობრივია, იმდენი რამაა ურთიერთგამომრიცხავი, რომ ძალიან რთულია, ამ ვერსიას გაჰყვე.

— ამას ამბავს უნდა პრემიერ-მინისტრის განცხადება. ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელი იყო, როდესაც პრემიერ-მინისტრი გვეუბნება მთელ ქვეყანას, რომ ყველაფერი გაარკვია, კითხვები არ აქვს, და კითხვებს აღარ მიიღებს, გამომჩნია ის მომენტი, როცა პრემიერისგან უნდა ვითხოვოთ ნებაართვა, კითხვები დავ-

სვით და არ დავსვით... მაშინ ვილაცის ატარებენ გამოძიებას, თუ ყველაფერი გარკვეული აქვთ, — აღნიშნა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

მისი თქმით, თუ გარკვეულები და ჩამოყალიბებულები არიან, გამოვიდნენ და დააკავონ ის ადამიანები, ვინც პასუხისმგებლები არიან, გააცნონ საბრალდებო დასკვნა საზოგადოებას და საქმე სასამართლოში წაიღონ.

— ასე საუბარი არ შეიძლება. როდესაც ერთი მხრივ ადამიანის სიცოცხლეს ეხება საქმე და მეორე მხრივ, არანაკლებ ღირებულებას — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო ობიექტის დაცვას, — განაცხადა ქ-მა ხიდაშელმა.

ის ამბობს, რომ კომენტარისგან თავს შეიკავებს და გამოძიების დასრულებას დაელოდება. ხიდაშელი ვარაუდობს, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო სტანდარტული კრიზისული შემთხვევა.

— ვისურვებდი, რომ ამ ქვეყანაში არასოდეს იყვნენ ხელისუფლებაში ადამიანები, როდესაც 2 საათში დეტალურად მოგვიყვებინა ამბავს, შეეცდებინა, საზოგადოებას მისაღონ საკუთარი ვერსია, დღეები რომ გადის, იმ ვერსიაში თავადვე შეიტანონ ცვლილებები, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, ბევრ ბაზაზე უსაფრთხოების ზომები ძალიან ხშირად ირღვევა მეცხვარეების მიერ. — მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სამხედრო ობიექტების უფლებები ნაწილი შემოღობილიც კი არ არის, რა ბაზაზე შეღწევაზე ვლაპარაკობთ, — დასძინა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

ნუბოსტი



# ზურაბ აბაშიძე: „თანამდებობა რომ ელოდო, ოპოზიციის არ ნაწილი“

— მე რომ თანამდებობა მდომოდა, ორი წლის წინ ოპოზიციაში არ ნაწილი და „ქართული ოცნების“ წევრად დავრჩებოდი, — ამის შესახებ პრესკონფერენციაზე თავისუფალი დემოკრატების ყოფილმა წევრმა, დეპუტატმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა.

— არჩევნების შემდეგ პარტია დატოვა პარტიის თავმჯდომარემ, გენერალურმა მდივანმა და ამის შემდეგ მოჰყვა სხვა ლიდერების პარტიიდან გასვლა.

ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა არჩევნებში მარცხზე. არავის პარტიისთვის არ უღალატია, ეს არის სრული აბსურდი. გარდა ამისა, წამოიწყეს კამპანია, რომ თითქოს თანამდებობებისთვის ვიბრძვი. მე და ჩემს მეგობრებს თანამდებობები რომ გვდომოდა, ჩვენ მაღალი თანამდებობები გვქონდა და ოპოზიციაში რომ არ წავსულიყავით, დღეს ამ თანამდებობებზე ვიქნებოდით. ჩვენ თანამდებობებისთვის არასდროს ვიბრძოლია — ჩვენთვის თანამდებობა ყოველთვის იყო საშუალება იმი-

სა, საქმე გვეკეთებინა, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძემ პარტია თავისუფალ დემოკრატებში აზრთა სხვადასხვაობის არსებობაც დაადასტურა.

— პარტია ცოცხალი ორგანიზაციაა. პარტიაში ყოველთვის არის განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები, რომლებიც ხანდახან ჯერდება, ხანდახან — ვერა, მაგრამ ჩვენი პრინციპი იყო ის, რომ გუნდურება შეგვენარჩუნებინა, მივსულიყავით 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, სადაც გამარჯვებისთვის ვიბრძოდით, — აღნიშნა მან.

მისი თქმით, როდესაც თავისუფალმა დემოკრატებმა არჩევნები ვერ მოიგეს, ბუნებრივია, რომ მისი არჩევანი „ქართული ოცნებაზე“ გაეკეთდა.

— მასთან ერთად ვიყავით ხელისუფლებაში, ერთად ვიბრძოდით მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ და რა არის ამაში გაუგებარი და გაურკვეველი?! — იკითხა ბ-მა აბაშიძემ.

**განცხადება-განცხადება 5-20 კვ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე, რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინჰინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტეროლისაგან. ძლიერდება იმუნოლოგი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უსასი, სწრაფი და უწყალო პირობებში 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიზიტირების, ძვლის მკვებათა მინერალის, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიმაღლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამოკრება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-60 ქმთვეანი**

მის. მ. მ. „ლიტვა“, წარმოების ქ. 142, | სართული, კაბინეტი №6  
 ☎ 577-29-37-41, 247-58-83

ინტერპრენსიუსი



# მამუკა არეშიძე: „მარნეულში მიმდინარე პროცესებში მისი როლი უნდა იქნას შეფასებული“

ნინო ცაბაძე

ექსპერტი მამუკა არეშიძე „ახალ თაობას“ არჩევნების მეორე ტურის წინ არსებული ვითარების შესახებ ესაუბრა.

— ბატონო მამუკა, რამდენად არის დაძაბულობა მარნეულში, რა ინფორმაციებს ფლობთ, როგორია თქვენი შეფასებები მეორე ტურის წინ?

— პირველი ტურის სიტუაციიდან გამომდინარე, გარკვეული საფრთხეები ნამდვილად არსებობს. ნაციონალური მოძრაობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთ ან ორ ოლქში მაინც გაიმარჯვონ. ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს შედეგი მიიღონ. თუ მარნეულს არ ჩავთვლით, სხვა რაიონებში, წესით, განსაკუთრებული შანსი არ უნდა ჰქონდეთ.

— არეულობის მოწყობის?

— დიას, არეულობის, რადგან მარნეულში არა მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს, არამედ სხვა ძალებიც არიან ჩართულნი საარჩევნო პროცესში.

— რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ თუნდაც იმას, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც იქ მონაწილეობდნენ



არჩევნების დროს, საკუთარ თავს მიაკუთვნებენ ერთ-ერთ უცხოურ პოლიტიკურ ორგანიზაციას. აქ საუბარი არ არის მხოლოდ ნაციონალურზე, სხვა ძალების ინტერესიც გამოიკვეთა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა ქვემო ქართლში, ჩვენი ხელისუფლების წლების განმავლობაში მიტოვებული და სიტუაციის არასწორი შეფასების გამო

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო, ზუსტად ეს სიტუაციაა.

— უფრო კონკრეტულად, რა ხდება მარნეულში?

— ახალგაზრდების მართვა მესამე ქვეყნიდან ხდება და ეს ქვეყანა რუსეთი არ არის, მუსლიმანურ ქვეყანას ვგულისხმობ. ამ ეტაპზე არ დაგვინტერესებს. მე მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე მარნეული ცხელ წერტილად რჩება. ზუგდიდში ნაციონალურ კანდიდატურა აღარ ჰყავთ და იქ არც არაფერი მოხდება.

— ითქვამს, რომ გარიგება მოხდა ხელისუფლებასა და ნაციონალურ შორის. ნაცებმა დათმეს ზუგდიდის მარნეულის სანაცვლოდ. რამდენად სარწმუნოდ მიიჩნევთ ამ ინფორმაციას?

— მე არ მაქვს ეს ინფორმაცია და, აქედან გამომდინარე, რთული იქნება ამის შეფასება. პოლიტიკური გარიგებების სისტემა ყოველთვის იყო საქართველოში, ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, მაინც ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლებამ რომელიმე რაიონი კეთილი ნებით დათმო.

— როდესაც მარნეულში მესამე ძალის ჩართულობაზე საუბრობთ, ვის მხარდამჭერებად გვევლინება ისინი, ოპოზიციური ძალის?

— ცალსახად ოპოზიციური ძალის. იმ ახალგაზრდების ნაწილი, რომელმაც იქ არეულობა

მოახდინა, ნაციონალურ მხარდამჭერია, ნაწილი კი მუსლიმანური ქვეყნის წარმომადგენლები და მათი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერები არიან.

— რატომ შედის მათ ინტერესებში მარნეულში სიტუაციის დაძაბვა?

— სიტუაციის დაძაბვა და არევა იმდენად არ შედის, რამდენადაც საკუთარი თავის პრეზენტაცია და ჩვენება იმისა, რომ მათ ძალა აქვთ, ამის ჩვენება არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ თავისი რაიონის მცხოვრებლებისთვისაც.

— არის ოლქები, სადაც ახლოს არის პროცენტული მაჩვენებლები. იქ რამდენად ელით ვითარების დაძაბვას?

— სიმწვავე ყველგან იქნება. ორგანიზაცია ალმედიას 3.500 კაცამდე ჰყავს აკრედიტებული და მკვირვებელი სხვადასხვა უბანზე და ამ ორგანიზაციამ მოქალაქეებსაც უთხრა, რომ ალმედიის საშუალებით ნებისმიერს შეუძლია, აკრედიტაცია მიიღოს და არჩევნებს დაესწროს. ხომ წარმოგიდგინათ, მათი რიცხვი რამდენით გაიზარდება?! მოგესვენებათ, რომ ალმედია ნაციონალური მოძრაობის პროდუქტია.

ასი კაცი რომ შევა ერთ უბანზე, ისინი შეიძლება იმისთვის, რომ იქ სიტუაცია დაძაბონ. წესით, მათ აკრედიტაციის მიღება უნდა შეეზღუდოთ.

# რა გახდა გურჯაანის კლინიკაში 59 წლის ქალის დასახიჩრებისა და გარდაცვალების მიზეზი?

„ჯეოპოსპიტალის“ გურჯაანის სამედიცინო ცენტრში 26 ოქტომბერს 59 წლის ქალი გარდაიცვალა. ექიმებმა ოჯახის წევრებს უთხრეს, რომ სიკვდილი გულის შეტევამ გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ცხედარი სახლში გადაასვენეს, გარდაცვლილის შვილი ალმედიასთან, რომ დედაამის სვეტიცხოვლის ქონდა და 12 ნაკერი ედო.

ექიმებს ამის შესახებ გარდაცვლილის ახლობლებისთვის მანამდე არაფერი უთქვამთ. ცხედარს სხეულის დაზიანებები სხვადასხვა ადგილებზეც აღენიშნება. ოჯახის წევრებმა მომხდარის გასარკვევად პოლიციას მიმართეს.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში მცხოვრები ქეთევან ჩირიკაშვილი „ჯეოპოსპიტალის“ გურჯაანის სამედიცინო ცენტრში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ 24 ოქტომბერს მოათავსა.

პაციენტი კარდიოინტენსიურ განყოფილებაში დააწვინეს. პაციენტის შვილის, თამარ ჩირიკაშვილის, თქმით, იმავე დღეს, მკურნალმა ექიმმა რამაზ თევზაძემ მას უთხრა, რომ დედამისს სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა გულის სარქველებთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ბული პრობლემების გამო. — მითხრა, რომ გამოკვლევის პასუხებს ჩაფიქს კლინიკაში გადაგზავნიან, იქიდან პასუხს დაველოდებით და მერე ვიმსჯელოთ. მეორე დღეს, სამშაბათს, დედის სანახავად რომ მივედი კლინიკაში, ექიმს ვუთხარი, რომ ჩვენ მზად ვიყავით, თუ საჭირო იყო, დედა რეანოშირით თავად გადაგვეყვანა თბილისის კლინიკაში.

გვითხრა, რომ დაახლოებით 20 ათასი ლარი დაგვჭირდებოდა საოპერაციოდ, რადგან სახელმწიფო ოპერაციის ხარჯებს სრულად არ აფინანსებდა. სამშაბათს დედა ვნახე, ჩავაცვი, ვაჭამე, ტუალეტში გავიყვანე, ვისაუბრე. დაახლოებით საათნახევარი მასთან ვიყავი. არც ექიმს და არც ექთანს ყურადღება არ მოუქცევიათ, გვერდით ოთახში კამპანია ჰქონდათ და ქეიფობდნენ.

მეორე დღეს, ოთხშაბათს, კვლავ მივედი საავადმყოფოში. მინდოდა გამეგო, გადაგზავნეს თუ არა ანალიზის პასუხები თბილისში და რა გადაწყვეტილება მიიღეს. დაცვამ პრობლემა შემიქმნა, ზემოთ სარეზერვუარ არ ამიშვებს. არადა, წინა დღეებში ასეთი პრობლემა არ შეუქმნიათ. მაინც მოვახერხებ

და ექიმს სამუშაო ოთახში მივაკითხე. მითხრა, დედა შენი ავად გახდა, მაგრამ ახლა კარგად არის, არ ინერვიულო. რა მოხდა, ავად რატომ გახდამეთქი? დამამაშვიდა.

რამდენიმე საათის შემდეგ დამიძახეს, ამიყვანეს მეორე სართულზე. ექიმმა მითხრა, დედა შენს გული გაუჩერდა და რეანიმაცია გამოვიძახეთ, ვცდილობთ, დავეხმაროთ. დაახლოებით 10 წუთი არ იყო გასული და მითხრეს, გარდაიცვალა. მე ავად გავხდი. საავადმყოფოდან გათიშული წამომიყვანეს. იმ დღეს დედა ვეღარ ვნახე, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარდაცვლილის შვილმა.

26 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ცხედარი სახლში გადაასვენეს, ოჯახის წევრებმა ალმედიასთან, რომ გარდაცვლილს თავი გატყუებული ჰქონდა და 12 ნაკერი ედო. გარდაცვლილის ნათესავის, ციკლა ოკუჯავას, თქმით, ცხედარს სხვა დაზიანებებაც აქვს. დაღუპულის ახლობლები მომ-



ხდარის გამოძიებას და ექიმების დასჯას ითხოვენ. ისინი ვარაუდობენ, რომ ექიმებმა პაციენტს ყურადღება არ მიუქცევია, ქეთევან ჩირიკაშვილმა წამოდგომა სცადა, დავარდა და დაზიანებები მიიღო. გარდაცვლილის შვილის თქმით, დიდი ალბათობით, სიკვდილის მიზეზი სწორედ ეს დაზიანებები გახდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, „ჯეოპოსპიტალის“ გურჯაანის

სამედიცინო ცენტრიდან ვერ მოიხიზნა განმარტება, რა ვითარებაში მიიღო ქეთევან ჩირიკაშვილმა სხეულის დაზიანებები და რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების თქმით, დაახლოებით 3 თვის წინ, ქეთევან ჩირიკაშვილის მეუღლემ „ჯეოპოსპიტალის“ კლინიკაში გარდაიცვალა.

— საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ, გონზე იყო, ხუმრობდა. იქიდან კი მკვდარი გამოგვატანეს. არც შიგნით გვიშვებდნენ და არც ინფორმაციას გვაძლევდნენ. ვერ გავიგეთ, რა მოხდა, — ამბობს ციკლა ოკუჯავა.

ქეთევან ჩირიკაშვილის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება გურჯაანის პოლიციამ დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით.

დანაშაული ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. ცხედარს ექსპერტიზა უტარდება. კახეთის საინფორმაციო ცენტრი

## ქუთაისში საკეისრო კვების შემდეგ ახალგაზრდა ქალი დაიღუპა

ქუთაისში საკეისრო კვების შემდეგ ახალგაზრდა გოგონა დაიღუპა. შემთხვევა 25 ოქტომბერს მოხდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები მომხდარში კლინიკა „ბომონდის“ ქირურგს ადანაშაულებენ.



— დავგამშვიდეს, საკეისრომ მშობლობიანად ჩაიარაო, თუმცა, საერთოდ არ ვიცოდით, რომ განმეორებით მეორე ოპერაციაც ჩაუტარდა. არაფერი უთქვამთ ამაზე ექიმებს. ვფიქრობთ, ექიმმა შეცდომა დაუშვა და სიტუაცია გართულდა, — განუცხადა ჟურნალისტებს გარდაცვლილის მეუღლემ გიორგი ჩიხლაძემ.

კლინიკა „ბომონდის“ ქირურგი მამუკა მიქაძე კი ამტკიცებს, რომ მისი ბრალეულობა გამოირიცხება.

— ჩვენ ყველანიარ ღონისძიებას მივმართეთ, სისხლდენა გავაჩერეთ, თუმცა, პაციენტი საჭიროებდა ხელოვნურ სუნთქვით მართვას. ჩვენ არ გვაქვს ოფიციალურად რეანიმაციული განყოფილება, რის გამოც ის გადავიყვანეთ ინტენსივური უბანში. პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო, თუმცა, მის გარდაცვალებას არანაირად არ ველოდებოდით, — აღნიშნა მამუკა მიქაძემ.

გარდაცვლილი პაციენტი 23 წლის ლანა მიქაბერიძეა, რომელსაც 5 წლის ბჭი და ახალშობილი გოგონა დარჩა.

ინტერპრესნიუსი

## ეროვნული ფორუმი ლევან იზორიას შპკითხვით მიმართავს

ეროვნული ფორუმი თავდაცვის მინისტრს ლევან იზორიას შეკითხვით მიმართავს.

ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე ეჭვქვეშ აყენებს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას კომპეტენციას. მას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნატოს მინისტრიალზე არდასწრება ამ ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის აბუზად აგდებაა.

— მაინტერესებს, ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორია, იყო თუ არა საქმის კურსში ნატოს იმ განცხადებაზე, რომ ნატომ უფრო აქტიურად უნდა იზრუნოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე, იცოდა თუ არა ამის შესახებ ლევან იზორიამ, თუ იმანაც ჩვენსავით ტელევიზიებით გაიგო ეს ამბავი, — კითხულობს ანი მიროტაძე.

დეკლარაციისთვის გასაგებია, რომ რუსეთი ოკუპანტი და აგრესორია, გასაგებია, რომ 40 კილომეტრში დგას საქართველოს საზღვართან, გასაგებია, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერ სახის დარტყმას უნდა ველოდეთ მისგან.

— მაგრამ საინტერესოა, აბსოლუტური ძალაუფლების მქონე ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას აქვს თუ არა გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ქვეყნისა და ჩვენი მოქალაქეების წინაშე აქვს აღებული როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებთან დაკავშირებით.

ძალიან მეჭვჭვა, მას ეს გააზრებული ჰქონდეს, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია ქვეყნის უსაფრთხოებაა, დაკავებულია მხოლოდ არჩევნებით და ყველა დონეს ხმარობს, საკონტროლო პაკეტი მოიპოვონ პარლამენტში და ყველა მეთოდის გამოყენებით გააქრონ ოპოზიციური სექტორი, — აცხადებს ანი მიროტაძე.



## ბიძინა გეგიძე: „შესაძლებელია, რომ ლევან ბაჩიაშვილი, რომ ლევან ბაჩიაშვილი იყოს თბილისის მერობის კანდიდატი“

— შესაძლებელი არის, ლევან ბაჩიაშვილი იყოს თბილისის მერობის კანდიდატი, მაგრამ რამდენად რეალურია ეს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ მასშობრივი კანდიდატ ბიძინა გეგიძემ კითხვას გარკვეულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის ამომრჩეველს მერის თანამდებობაზე, შესაძლოა, ლევან ბაჩიაშვილის კანდიდატურა შესთავაზოს.

გეგიძის შეფასებით, თბილისის მერობის კანდიდატების შერჩევის პროცესი უნდა იყოს ჯანსაღი და არ უნდა იყოს დაწესებული ვინმესთვის რალაც წინასწარი შეზღუდვები და ბარიერები.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი წელიც არ არის დარჩენილი. საკმაოდ აქტიური პერიოდი იქნება — არჩევნებისთვის მზადება და შემდეგ კამპანია. ასე რომ, ეს ყველაფერი გამორჩეულია... შესაძლებელი რატომ არ უნდა იყოს?! — ლევან ბაჩიაშვილს აკრძალული არა აქვს არჩევნებში მონაწილეობა, — განაცხადა ბიძინა გეგიძემ.

ამასთან, გეგიძის თქმით, მისთვის ამ თემაზე რაიმე კონკრეტული საუბრისა და კონსულტაციის შესახებ არაფერია ცნობილი და ამ პროცესს ადგილი რომ ჰქონდეს, უშუალოდ ლევან ბაჩიაშვილისაგან ცემოდინებოდა.

— ჩვენ ძალიან მეგობრული და ინტენსიური ურთიერთობები გვაქვს. მე ასეთი რამ არ გამოვიცხადებ, ესე იგი, არ არის ამაზე საუბარი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე განსაზღვრავს, ვინმეს აკრძალული აქვს იყოს კანდიდატი, მათ შორის „ქართული ოცნებიდან“, — განაცხადა გეგიძემ.

შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი გიორგი კვიციანი, ბიძინა გეგიძე და ლევან ბაჩიაშვილი წლების წინ ერთ პოლიტიკურ გუნდს, ახალ მემარჯვენეს, წარმოადგენდნენ.



ბიძინა გეგიძე

ინტერპრესნიუსი



# გახდება თუ არა საქართველო ახალი დაპირისპირების პოლიგონი

## მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ექსპერტები სულ უფრო მეტად ამხვილებენ ყურადღებას მსოფლიოში არსებულ სიტუაციაზე. ბევრი ფიქრობს, რომ საქართველო ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის პირდაპირი დაპირისპირების ერთ-ერთი პოლიგონი, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა დიდ სახელმწიფოებს შორის მწვავე კონკურენციაა შავ ზღვაზე.

შავ ზღვაზე ნატოს პოზიციების გაძლიერება ნატოს ვარშავის სამიტზე გადაწყდა. განცხადებები ამ რეგიონში ნატოს ძალების გაფართოების თაობაზე სამიტამდეც კეთდებოდა, რაზეც რეაგირებდა რუსეთი. ჯერ კიდევ ვარშავის სამიტამდე რუსეთმა საქართველოს საზღვრებთან მონაცემებს დაუფიქსურა და უფრო მეტი წერტილი „კავკასია 2016“. მასში გაუფრთხილებლად ჩართეს მშვიდობიანი მოქალაქეებიც. მოსახლეობა მონაწილეობდა ჯარისკაცების გადაყვანასა და ჯარის სურსათის მომარაგებაში.

რუსეთში ჩამოყალიბებული ახალი ნესებით, სამხედროებს შეუძლიათ ქვეყნის მთელი რესურსების განკარგვა მოხილვადობის გამოცხადების შემთხვევაში.

რუსეთში ომის ისტორიაა, წერს ნორვეგიული მედია. ყველგან, მათ შორის, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელევიზიებში საუბრობენ ომისთვის მზადებაზე, ომის დროს თავშესაფრების მოწყობაზე. ამისთვის ამზადებენ სამოქალაქო დანესებულებებს. მაგალითად, რუსეთის ცენტრალურ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში გაიმართა დიდი წვრთნები ომის შემთხვევისთვის.



სეთის ცენტრალურ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში გაიმართა დიდი წვრთნები ომის შემთხვევისთვის.

ნორვეგიული პრესის თქმით, რუსეთში მიმდინარე სამხედრო ისტორია აღეგნება ბრიუსელში. ამასთან, ნატოს ჩინოსნები აცხადებენ, რომ „ეს არ არის ახალი ცივი ომის დასაწყისი“. მათი შეფასებით, რუსეთს აქვს უფლება, განათავსოს კალინინგრადში „ისკანდერის“ ტიპის რაკეტები. ეს რუსეთმა გააკეთა კიდევ მას შემდეგ, რაც აშშ-მ შეწყვიტა მასთან მოლაპარაკებები სირიის საკითხზე.

— მთავარი პრობლემა რუსეთის ქვეყნა უკრაინაში. ნატოს არ გააჩნია გარანტია, რომ რუსეთი ასე აღარ მოექცევა, — ამბობენ ჩრდილო-

ატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლები. რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა გავრცელებულმა ინფორმაციამ 26 ოქტომბერს სირიის იდლიბის პროვინციაში სკოლის დაბომბვის შესახებ. ავიადარტყმებს 22 მოსწავლე და 6 ზრდასრული ადამიანი ემსხვერპლა. ამაში ბევრმა რუსეთი დაადანაშაულა. რუსეთმა ეს კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ იდლიბის პროვინციაში ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი დააფიქსირეს.

ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი ცოცხალი ადრე ყირიმთანაც შენიშნეს.

აშშ რუსეთს ადანაშაულებს ადრინდელი შეთანხმების დარღვევაშიც. შეთანხმება 1987 წელს

დაიდო და გარკვეული ტიპის რაკეტების ლიკვიდაციას გულისხმობს. ვაშინგტონი აცხადებს, რომ რუსეთი აკრძალული რაკეტების გამოცდას 2010 წლიდან ეწვეა.

საფრენი აპარატების მოდერნიზაციით დაკავებულია ჩინეთიც, რომელიც ასევე მოიზარება შესაძლო მესამე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მონაწილედ.

წლებად აღვიწინოთ ჩინეთი წარმოადგენს ახალ სუპერთანამედროვე საბრძოლო ვერტმფრენს, რომლის პილოტების უსაფრთხოებას დაჯავშნილი კაბინა და ვერტმფრენის კორპუსი უზრუნველყოფს. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, ეს ვერტმფრენები უხილავი იყოს მონაწილეებისთვის.

უცხოური მედიის ცნობით, ჩინეთის დაზვერვამ ხელში ჩაიგდო პენტაგონის გეგმები. ისინი ეხება სტრატეგიას ჩინეთთან ომის შემთხვევაში. ჩინელების მიერ მოპოვებული ერთ-ერთი მოხსენების თანახმად, აშშ-ში უპილოტო ერთ-ერთი ბუნი არიან ჩინეთის უშიშროების სამინისტრო, სახალხო-განმათავისუფლებელი არმია და კომპარტია.

აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირების ზონაში ექცევა არა მარტო კავკასია, არამედ, არქტიკაც.

„ლე მონდის“ სიტყვებით, 20 წლის განმავლობაში არქტიკა უკონფლიქტო ადგილი და საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი იყო, მაგრამ გადანაცვლებამ 2017 წლიდან ნორვეგიაში ამერიკელი ჯარისკაცების შეყვანის შესახებ ისიც კონფლიქტის კერად აქცია.

## „მერიის მიერ კომუნალური ვაუჩერების გასემა საარსებო შენობის შეწყვეტის საფუძველი ირავალი აბესაძის განცხადება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“



— მერიის მიერ კომუნალური ვაუჩერების გაცემა არ არის საარსებო შენობის შეწყვეტის საფუძველი, ირავალი აბესაძის განცხადება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ამის შესახებ ინტერპრესიუსს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსმა თათია გვარამაძემ განუცხადა.

გვარამაძის თქმით, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მხრიდან გაცემული ვაუჩერი ოჯახს მეტ შანსს აძლევს, მიიღოს სოციალური დახმარება.

— ვაუჩერის გაცემა არა მხოლოდ შეწყვეტის, არამედ სააგენტოს მხრიდან ოჯახის ხელახალი გადამონების ან სხვა რაიმე ქმედების გატარების საფუძველსაც არ იძლევა. სოციალური მომსახურების სააგენტო ასუბსიდირებს 70.000 სოციალური დახმარება.

— ვაუჩერის გაცემა არა მხოლოდ შეწყვეტის, არამედ სააგენტოს მხრიდან ოჯახის ხელახალი გადამონების ან სხვა რაიმე ქმედების გატარების საფუძველსაც არ იძლევა. სოციალური მომსახურების სააგენტო ასუბსიდირებს 70.000 სოციალური დახმარება. — განაცხადა თათია გვარამაძემ.

სარეიტინგო ქულაზე ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის ტარიფებს შორის სხვაობას. კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ კომუნალური ვაუჩერი არ არის საარსებო შენობის შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ვაუჩერი აკლდება კომუნალურ ხარჯებს, რომელსაც ოჯახი გასწევს და სარეიტინგო ქულა ჩამოიღოს დაბლა. ამიტომ, ოჯახს უფრო მეტი შანსი აქვს მიიღოს სოციალური დახმარება, — განაცხადა თათია გვარამაძემ.

## სარფის საბაჟოზე ხელნაკეთი ბოგბი იპოვნეს?

28 ოქტომბერს, თურქული მედიის ინფორმაციით, სარფში თურქულ მხარეს, ხელნაკეთი ბოგბის აღმოჩენა აღკვეთეს. მამაკაცი, რომელიც ბოგბის აღმოჩენას ცდილობდა, გაუფრთხილებულია.



სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი ჩაკეტილი იყო. თურქული მხარე სასაზღვრო პუნქტის ჩაკეტვის მიზეზად ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებდა.

მოგვიანებით ართინის გუბერნატორის ოფისმა სარფის საბაჟოზე ბოგბის აღმოჩენის ფაქტი უარყო.

## დათო ბოლქვაძის დახვრებიდან 23 წელი გავიდა

23 წლის წინ, 1993 წლის 28 ოქტომბერს, სამეგრელოში ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე და რამდენიმე სამხედრო ტყვე დახვრიტეს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს მათ ქართველმა საჯაროდ, მრავალი ადამიანის თვალწინ ესროლა.

დათო ბოლქვაძეს გაიხსენებენ ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები დათოს სასაფლაოზე შეიკრიბებიან.

23 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 24 წლის დათო ბოლქვაძე სიკვდილს შეხვდა.

— რაც დრო გადის, მით უფრო მტკიავს გული, მით უფრო მაქვს საოცარი პროტესტისა და ამბოხის გრძობა, უსამართლობის შეგრძნება, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, განსაკუთრებით ცხელ წერტილებში, როგორ შეიძლება ჟურნალისტების — დროისა და ომის მემკვიდრეების ხელყოფა. ყველაზე დიდი დანაშაული არის ის, რომ ომში დახვრიტო ჟურნალისტი. დათო უპრეცედენტოდ მოკლეს. ბევრი ნაღმზე აფეთქებულია, ბევრს შემთხვევითი ბრმა ტყვეა მოხვედრია, ზოგი დაბომბვის შედეგად დაღუპულა, მაგრამ ასე სახალხოდ, საჯაროდ, თან ქართველის ხელით დახვრეტა სასტიკი დანაშაულია.

ბიჭი, რომელიც აფხაზეთის ომში ჩენის, კაზაკის ტყვიას გადაურჩა, ქართველმა დახვრეტა იმიტომ, რომ თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, — ამ სიტყვებით იხსენებს „კვირასთან“ საუბრისას მძას თამარ ბოლქვაძე.

თუმცა დას მის შესახებ საუბარი მაინც უჭირს. ამბობს, რომ 28 ოქტომბერი ძალიან მწარეა მის ცხოვრებაში.

— დათოს უკვე 47 წელი უნდა შესრულებულია. დღეს კი დახვრეტის დღეა, ძალიან მწარე დღეა ჩემს ცხოვრებაში, სიმწარე, რომელიც 23 წლის განმავლობაში არ განელებულა. ზოგჯერ უფრო მეტად განვიცდი და უფრო და უფრო მატულობს ეს სიმწრის განცდა. სულ ვფიქრობ, ხომ შეიძლება დღეს დათო ცოცხალი ყოფილიყო, როგორც ლამაზად გააგრძელებდა თავის სიცოცხლეს და საქმიანობას, როგორი პროფესიონალი იქნებოდა, — ამბობს დათო ბოლქვაძის და იგი რეჟისორ გიორგი ებრაელიძის მოგონებებს იშველიებს.

— ყველაზე მეტად, იცით, რა მიკვირს ხოლმე? თუმცა, არც კი მიკვირს, დაახლოებით იმდენი წელი



დათო ბოლქვაძე

გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი ძმა სიკვდილს შეხვდა. ამდენი ხანი რომ ცოცხლობს დათოს სსოვნა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მან თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ძალიან დიდი შინაარსი ჩაატია.

ზოგჯერ მართლაც ბევრს უწინდება კითხვა: როგორი ცხოვრებით იცხოვრა ამ ბიჭმა, ან ისეთი რა გააკეთა, რომ ყველას ასე თბილად და ტკბილად დაამახსოვრა თავი? ზოგჯერ გუშინდელსა და გუშინდელს აღარ იხსენებენ ხოლმე. ეს, ალბათ, თავად პიროვნებაზეა დამოკიდებული. დათო მართლაც ასეთი იყო და ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ მე მისი და ვარ.

გავიხსენებ, რეჟისორ გიორგი ებრაელიძეს გამოხატევაში, რომელმაც თავდაპირველად დათო მეორე არსზე მიიყვანა. მათ ერთად დაინყეს იქ მუშაობა. ის იხსენებს, დათო იყო კაცობის ეტალონი, კაცობის საზომი ერთეული იყო ჩემთვის დათო ბოლქვაძე. სამწუხაროდ, ის, რაც ვნახე დათოში, ვერავისში ვეღარ ვნახე.

— დათოს ჰქონდა საოცრად ღირ-

სული კაცობის შინაგანი კონსტიტუცია, რომელსაც არასოდეს არღვევდა. რომ არ დაარღვიო, იმიტომაც შეხვდა ასეთ სიკვდილს. დათოს თავის პროფესიაზე რომ არ ეფიქრა და ეფიქრა სიცოცხლის გადარჩენაზე, დღეს ცოცხალი იქნებოდა.

ბოლოს და ბოლოს, წავრთმიათ კამერა და კასეტა, თუ ასეთი საშინელება იყო გადაღებული. ამის გამო რომ ხვრეტ ადამიანს, ეს გამოუსწორებელი დანაშაულია. სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ასეთი შემთხვევა, მაგრამ ასე საჯაროდ და სახალხოდ დახვრეტილი მხოლოდ დათოა, — აცხადებს თამარ ბოლქვაძე.

დაბოლოს, როგორც თამარ ბოლქვაძე ამბობს, დათოს კაცობა არასოდეს ეკიდა თოფის ლულასა და იარაღზე. მას შეეძლო, ომში გადაეღო კადრი, როგორ უყრიან ჯარისკაცები საკვებს ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყებს. იყო დათოს ესეთიკაც. ეს არის დათოს პორტრეტი. ომში, როდესაც ტყვიების ზუზუნია და ტყვიების წვიმა მოდის, მხოლოდ დათოს თვალს შეე-

ლო დაენახა და ფორზე აღებეჭდა ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი. ეს იყო დათო ბოლქვაძე, — ამბობს თამარ ბოლქვაძე.

ცნობისთვის, 1993 წლის 28 ოქტომბერს ხომის რაიონული ცენტრის მოედანზე სამოქალაქო დაპირისპირების დროს ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე და რამდენიმე ახალგაზრდა დახვრიტეს.

28 ოქტომბრის ტრაგედია უშუალოდ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლ ლოთი ქობალიას ხელითა და მისი ორგანიზებით დატრიალდა. ვახტანგ (ლოთი) ქობალია 1993 წელს დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი, უკანონო ბანდფორმირების შექმნა, 6 პირის განზრახ მკვლელობა. 1996 წელს უზენაესმა სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 1997 წლის ბრძანებულების საფუძველზე მას ბრალდება 20-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს.

ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი ქობალია 2004 წელს სამოქალაქო შერიგების აქტის საფუძველზე შეიწყალა.

**საპურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისკალბია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, ვასახლომ და ცელულიტის დამამუქებელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალაქი თბილისი



თამარ ბოლქვაძე



# „საფინანსო კომპანია საქართველო“ შეანაბრებს პროცენტს არ უხდის

28 ოქტომბერს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ შეკრებილი 20-მდე მენაბრე კუთვნილი თანხების დაბრუნებას ითხოვდა.

როგორც მათ ბიზნესპრესენიუსთან განაცხადეს, ორი თვეა, კომპანიისგან კუთვნილი პროცენტი არ მიუღიათ.

მათი ინფორმაციით, საფინანსო კომპანიას 30 მილიონ დოლარზე მეტი თანხა აქვს მენაბრეებისგან მიღებული. კომპანიის კლიენტები ამბობენ, რომ უმეტესობას საფინანსო კომპანიაში ანაბრის სახით 5-დან 18 ათას დოლარამდე თანხა აქვს შეტანილი.

ამგვარ პირობებში მენაბრეების ნაწილი კუთვნილი თანხის მთლიანად დაბრუნებას ითხოვს. „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მთავარ ოფისთან კომპანიის წარმომადგენლები არ



გამოსულან, ოფისის მინებიან შენობაზე ჟალუზები იყო ჩამოფარებული. დაცვის თანამშრომლის თქმით, ხელმძღვანელი პირები ადგილზე არ

იმყოფებოდნენ, შენობაში კლიენტებს კი მორიგეობით უშვებდნენ.

ერთ-ერთი მენაბრის განცხადებით, კომპანიის წარმომადგენელი მერაბ ფერაძე მათ გასულ პარასკევს შეხვდა, სიები შეადგინა და ფულის დაბრუნებას დაჰპირდა, თუმცა, კომპანიის კლიენტების თქმით, ამგვარი ვითარება უკვე ორი თვეა გრძელდება. ისინი აცხადებენ, რომ კომპანიის წარმომადგენლებს ტელეფონი გამორთული აქვთ ან მათ ზარებს არ პასუხობენ.

ერთ-ერთი მომხმარებლის თქმით, „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მფლობელებს ეროვნულმა ბანკმა 4 მილიონის ღირებულის ქონება დაუყადალა ლაგოდეხში, თუმცა კომპანიის დაცვის თანამშრომელი ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს, რომ „საფინანსო კომპანია საქართველო“ ეროვნული ბანკისგან რამდენიმე დღის წინაშესწავილი მიიღო.

მისივე თქმით, როგორც ლიცენზიაშია განთავსებული, მომხმარებლებს, რომლებსაც 5.000 დოლარამდე თანხა აქვთ კომპანიაში შეტანილი, ხელშეკრულება 3 თვით გაუგრძელდებათ, 10.000 დოლარამდე თანხაზე ხელშეკრულება 4 თვემდე გრძელდება.

კომპანიისგან შეკრებილი მომხმარებლების განცხადებით, ვადის გახანგრძლივება კიდევ ერთი სატყუარაა ხალხის გასაჩურებლად.

„საფინანსო კომპანია საქართველო“ ფინანსურ ბაზაზე 2008 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა სესხის აღება, გაცემა და სალომბარდე მომსახურებაა.

ბიბიენი

## რომან ბოშირიძე: „მთავრობის ფინანსური პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეიცვალოს“



ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი რომან ბოშირიძე აცხადებს, რომ მთავრობის არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკა და ეროვნული ბანკის შეცდომები კვლავინდებურად რჩება მაკროეკონომიკური არასტაბილურობის წყაროდ.

მისი აზრით, არსებობს ლარის შემდგომი გაუფასურების რისკი, თუ მთავრობის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკა რადიკალურად არ შეიცვალა.

— საბიუჯეტო შემოსავლებში არის სერიოზული დანაკლისი. გარდა საგადასახადო შემოსავლებისა, არ სრულდება არცერთი გეგმა, როგორც შემოსავლების, ასევე დეფიციტის დაფინანსების წყაროების მიხედვით. დონორები თავს იკავებენ ბიუჯეტში უკვე დამტკიცებული თანხების დროულად გადმორიცხვაზე, რადგან მთავრობა არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, — განაცხადა რომან ბოშირიძემ.

ის ფაქტი, რომ შესაძლოა აღნიშნული თანხები დეკემბრის ბოლოს ჩაირიცხოს და ფორმალურად აღდგეს წონასწორობა შემოსავალ-გასავალს შორის, არ ნიშნავს იმას, რომ შუალედურ პერიოდში შექმნილი ვითარება არ ახდენდეს გავლენას მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე.

— მთავრობა არსებულ გარღვევას ფარავს ერთი მხრივ, ძველი ნაშთებიდან თანხების ხარჯვით, რომელიც დღეისთვის 270 მილიონ ლარს შეადგენს და მეორეს მხრივ, საშინაო ვალის მოცულობის უკანონო ზრდით. მთავრობა არღვევს კანონის ბიუჯეტის შესახებ, სადაც სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით ნებადართულია შიდა ვალის ზრდა 200 მილიონი ლარის ოდენობით. დღეისათვის მან 290 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 90 მილიონ ლარით მეტია დაგეგმილზე, — აღნიშნა ბოშირიძემ.

ის თვლის, რომ არარაციონალურია ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა, სადაც დიდია ბიუჯეტის ხარჯვით და სხვა უსარგებლო ხარჯების ხვედრითი წილი. ამიტომ ბიუჯეტი გახდა მონეტარული და ფისკალური არასტაბილურობის ერთ-ერთი წყარო, რაც ლარის გაუფასურებასა და ფასების ზრდაში აისახა.

— ლარის უკანასკნელი პერიოდის გაუფასურება, მიუხედავად ბოლო 2 თვის განმავლობაში განხორციელებული დიდძალი ინტერვენციებისა (180 მილიონი დოლარი), სუსტი ეკონომიკური ზრდის, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ზედმეტი ჩარევისა და ფისკალურ და მონეტარულ სფეროში დაშვებული შეცდომების შედეგია, — განაცხადა რომან ბოშირიძემ.

მისი აზრით, ეროვნული ბანკისა და მთავრობის მხრიდან ამის გადამბრუნება ერთ-ერთ მსხვილ გარეგნულ საფუძველსა მოკლებული და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

— ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები დაახლოებით სამჯერ აღემატება სხვენებული ტრანსაქციების უზრუნველსაყოფად სავარაუდოდ საჭირო უცხოური ვალუტის მოცულობას, — აღნიშნა ნაციონალმა ეკონომისტმა.

მისივე თქმით, ასევე, არსებობს სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეროვნული ბანკის ინტერვენციები ემსახურებოდა წინასწარწინდელ ლარის გაცვლის კურსის ფიქსაციას მმართველი ხელისუფლების სასარგებლოდ.

— არჩევნების შემდეგ ინტერვენციებზე უარის თქმა, რასაც ლარის გაუფასურება მოჰყვა, ამ ეჭვს კიდევ უფრო ამყარებს. ლარის შემდგომი გაუფასურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მიმდინარე და მომავალი, 2017 წლის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ხარჯების ოპტიმიზაცია და ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების მოზიდვა და სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის პირობების შექმნა, — განაცხადა რომან ბოშირიძემ.

ბიბიენი

## ომალოში აეროდრომის მშენებლობა 10 მილიონი დაჯდება

ომალოში აეროდრომის მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება და 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორმა ქეთევან ალექსიძემ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, აეროდრომის საპროექტო სამუშაოების შესრულებული კომპანიის ტენდერის შედეგები 1 კვირაში გახდება ცნობილი და ამის შემდეგ უკვე პროექტანტი დაინწყებს მუშაობას.

ომალოში აეროდრომის მშენებლობას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება დააფინანსებს. აეროდრომის გახსნის კონკრეტული თარიღი მას შემდეგ დაკონკრეტდება, რაც დასრულდება პროექტირება.

— ამ დროისთვის რაც შეიძლება ვთქვა, არის ის, რომ ომალოში აეროდრომი 2017 წელს გაიხსნება, — აცხადებს ალექსიძე.

მთავრობის ინიციატივას ახმეტის რაიონში აეროდრომთან დაკავშირებით მიესალმება ახმეტის გამგებელი ბექა ბაიდაური.

მისი განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობა ამას წლების განმავლობაში ითხოვდა, თუმცა, უშედეგოდ. როგორც ბაიდაური ამბობს, თუშეთში საკმაოდ რთულია ავტომანქანით გადაადგილება, აეროდრომის არსებობა კი ადგილობრივებისთვის ძალიან ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

ახმეტის გამგებელი ამბობს, რომ ომალოში აეროდრომის არსებობა რეგიონში ტურისტების რაოდენობას საკმაოდ გაზრდის.



რა პოტენციური ექნება მაღალმთიან რეგიონში აეროდრომის მშენებლობას და რეალურად იმუშავებს თუ არა ეს პროექტი, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ ადგილობრივ მოსახლეობასთან ცადა.

მათი უმრავლესობა განმარტავს, რომ ომალოში აეროდრომის მშენებლობა კარგია, თუმცა, გაანია, მგზავრობაზე რა ტარიფებს დაადგენენ.

— აუცილებელია აქ აეროდრომი იმით, რომ გადაადგილება ძალიან რთულია. ჯერ ერთი, საკმაოდ ცუდი გზებია და, თუ ჯიბით არ წახვედი, მსუბუქი ავტომანქანა იქ ვერ ავა. გარდა ამისა, ეს ყველაფერი ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მაგალითად, ახმეტიდან ომალოში ჯიბით ასვლას 250 ლარი უნდა, რაც წარმოუდგენლად ძვირია. მთავრობას ერთ რეკომენდაციას მივცემდი — კარგი იქნება, თუ ფასი დიფერენცირებული იქნება. კერძოდ, ტურისტებისთვის მგზავრობა სხვა ფასში იქნება შესაძლებელი და ადგილობრივებისთვის — სხვა.

თუ ხელმისაწვდომი ფასს დაადებენ, აეროდრომი იმუშავებს, გაამართლებს და რეგიონის განვითარებასაც კი შეუწყობს ხელს, — აცხადებს ახმეტის რაიონის ერთ-ერთი მცხოვრები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში აეროდრომის პროექტირების დაწყება 27 ოქტომბერს მიწისტრთა კანონმდებელმა მთავრობის სხდომაზე განიხილა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, შიდა ავიაციის განვითარება ქვეყნის სივრცითი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

— ჩვენი მიზანია, საქართველოში იყოს რაც შეიძლება მეტი მცირე აეროდრომი, იმისთვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მოსახლეობამ და, რა თქმა უნდა, ტურისტებმა ისარგებლონ. ეს იქნება უფრო მეტი დასაქმებული ადამიანი და მეტი კეთილდღეობა თითოეული ჩვენგანის ოჯახში.

ამ შემთხვევაში ეს გულისხმობს თუშეთს, რომელიც საქართველოს მარგალიტის თავისი განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობით. ასევე, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ ომალოში სააფრენი ზოლისა და აეროპორტის მშენებლობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

სოფო ქლოველი, კომერსანტ-გე

## იპორტიორები ფასს მოგების შემცირების ხარჯზე ინარჩუნებენ

მსხვილი იმპორტიორები პროდუქციის ფასების მატებას იმ შემთხვევაში გეგმავენ, თუ ვალუტის კურსი 2,45-2,50 პუნქტამდე დაეცემა. ამის შესახებ „კომერსანტთან“ მსხვილი იმპორტიორები აცხადებენ.

მათი თქმით, წლის ბოლომდე დააკვირდებიან ვაჭრობის შედეგებს და, შესაბამისად, ვალუტის კურსს, რომლის შემდეგაც გადანიშნავენ, სამომხმარებლო და კვების პროდუქტებზე ფასები გაზარდონ თუ არა.

სადისტრიბუციო კომპანია „გრანდის“ დამფუძნებელი ივა ჭყონია ამბობს, რომ ამ დროისთვის ფასების ზრდას არ გეგმავს და ამას ძირითადად საკუთარი მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე აკეთებს.

მისი თქმით, 2.40-იანი ნიშნული უკვე პიკურია, თუმცა, თუ ვითარება დასტაბილურდება და ლარი აღარ გაუფასურდება, პროდუქციის ფასების ზრდა არ მოხდება.

— მოგების მარჟის სანჯვის გაძვირებაც მიმდინარებს. თუ ლარი 2.40-იან ნიშნულს ასცდა, ფასების გაზრდა აუცილებლად მომინებს. დღემდე ვცდილობ, დავაბალანსო ფასები და არ მინდა, რომ ეს ყველაფერი მოხდეს იმის ხარჯზე, რომ შევცვლი შტატი. ცოტა დრო უნდა ავილო ამის გასაანალიზებლად, რადგან ფასის მომატება მარტივია, მისი შემცირება კი — რთული, — აცხადებს ჭყონია.

მისივე ინფორმაციით, კომპანია „გრანდმა“ ბოლო 1 თვის განმავლობაში პროდუქციის ფასები დაახლოებით 5 პროცენტით გაზარდა.

ფასების ზრდას ამ დროისთვის არ გეგმავს იმპორტიორი კომპანია „შარტ ტრედიინგი“.



კომპანიის დირექტორი ვახტანგ საძაგლიშვილი აცხადებს, რომ წლის ბოლომდე დააკვირდება სიტუაციას და განაწყვეტილებას ფასების ზრდასთან დაკავშირებით ამის შემდეგ მიიღებს. მისი თქმით, კომპანია ფასების შენარჩუნებას 2.50-იან ნიშნულამდე შეძლებს.

— მარტის შემდეგ ფასები არ შევიცვლია, ეს კი ნაწილობრივ მოგების შემცირების ხარჯზე, ნაწილობრივ კი, მომწოდებლების დახმარების ხარჯზე მოხდა, — აცხადებს საძაგლიშვილი.

გაიზრდება თუ არა სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასები, ამის პროგნოზს ჯერ ვერ აკეთებს იმპორტიორი კომპანია ქართული სადისტრიბუციო კომპანიის დირექტორი ზურა ხუციშვილი.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ფასების დაჭერას კომპა-

ნია საკუთარი მოგების შემცირების ხარჯზე ახერხებს.

სუციშვილის თქმით, თუ ლარის კურსი უფრო დაეცემა, პროდუქციის მხოლოდ ამ შემთხვევაში გააძვირებს.

— ბოლო პერიოდში ფასები 2 პროცენტით გააძვირეთ, — აცხადებს ხუციშვილი.

სადისტრიბუციო კომპანია „ალიანსი საქართველოს“ გენერალური დირექტორი მამუკა ცაგარელი ლარის გაუფასურებას საარჩევნო ციკლის ფარგლებში განიხილავს. აქედან გამომდინარე, ის იმპორტირებულ პროდუქტებზე, თუ რაიმე რადიკალური ცვლილება არ მოხდა, ფასების ზრდას არ ფიქრობს.

ცაგარელის განცხადებით, რადიკალურ ცვლილებაში ის ლარის კურსის 2.45-იან ნიშნულამდე დაეცემას გულისხმობს.

— ეს იქნება ფსიქოლოგიური ზღვარი. თუ ნოემბრის განმავლობაში მოხდა რაღაც ისეთი რადიკალური, მოხდება ანონსირება და გაზრდილი ფასები ძალაში 1 დეკემბრიდან შევა. მანამდე მოსაზრებელი სამუშაოები დანიშნავს, როგორც კომუნიკაცია მსხვილ კლიენტებთან და ასე შემდეგ, — აცხადებს ცაგარელი.

მისი თქმით, ბოლო 2-3 თვის განმავლობაში კომპანიის ფასები არ გაუზრდია.

— ყველა ჯერზე, როდესაც ჩვენ ვიღებთ ახალ კურსს, მიმდინარესთან შედარებით ვიტოვებთ პატარარეზერვს, ეს შეიძლება იყოს 3-4 პუნქტი. ასევე არის მეორე მომენტი — როგი მწარმოებლები ხანდახან მზად არიან, თვითონ დააკომპენსირონ კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი თავისი დისტრიბუტორისთვის, — აცხადებს ცაგარელი.

სოფო ქლოველი, კომერსანტ-გე

## ლარი დოლართან გაუფასურდა, ეპროსთან კი გაყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, 29 ოქტომბერს 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4091 ლარი იქნება. აქამდე მოქმედი კურსით დოლარი 2.4079 ლარი ღირდა.

შესაბამისად, ლარი დოლართან მიმართებით 0.0012-ით გაუფასურდა.



ლარის კურსმა ევროსთან მიმართებით 2.6278 ლარი შეადგინა.

აქამდე მოქმედი კურსით 1 ევროს ღირებულება 2.6299 ლარი იყო. შესაბამისად, ევროსთან მიმართებით ლარი 0.0021-ით გაყარდა.



# „ბოლქარი თევზაძე შეიძლება დაინაშავე არ იყოს“

## დემურ სტურუას დედამ სკანდალური განცხადება გააკეთა

28 ოქტომბერს სკანდალური განცხადება გააკეთა დემურ სტურუას დედამ, ნანა ჯოჯუამ. შეგახსენებთ, რომ სამტრედიის რაიონში, სოფელ დაფნარში მცხოვრებმა დემურ სტურუამ 7 აგვისტოს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვალებამდე მან წერილი დატოვა, სადაც სამტრედიის პოლიციის ყოფილი თანამშრომლის გოდერძი თევზაძის მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე საუბრობდა.

28 ოქტომბერს კი ნანა ჯოჯუამ თქვა, რომ, შესაძლოა, გოდერძი თევზაძე უდანაშაულო იყოს, ნამდვილი დამნაშავე კი თავისუფალი დადიოდა.

— არჩევნებისთვის ყველამ გამოიყენა და ყველა წავიდა თავის გზით. არავის არ აინტერესებს უკვე არაფერი. სასამართლოებიც უმიზეზოდ რამდენჯერმე გადაიდო. ამბობენ, გოდერძი თევზაძე არ არის მკვლეელი, მაშინ ეჭვი მაქვს, რომ ჩემი შვილის მკვლეელი გარეთ, თავისუფალი დადის.

ვილაცები მაშინგან და ამის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. გამოიხატა დაინყო, მაგრამ სად არის შედეგები. ვფიქრობ იმასაც, რომ გოდერძი თევზაძე შეიძლება არ იყოს მკვლეელი და ნამდვილი დამნაშავე თავისუფალია, ამიტომ დღესაც შიშის ქვეშ ვარ, — განაცხადა ნანა ჯოჯუამ.

ამ განცხადების შემდეგ ნიუპოსტი გარდაცვლილის დედას დაუკავშირდა. მან აღნიშნა, რომ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება და ღამის საათებში მის სახლში უცხო პირებმა რამდენჯერმე სცადეს შეღწევა.

ნანა ჯოჯუას თქმით, ბოლოს სახლის კარი, რომელიც გასაღები თქონდა და აკეტილი, გატყეხილი დასვდა.

— 5 ფაქტია დაფიქსირებული, ჩემს სახლში ვილაყა მოდის და მაშინგან, საკუთარი სახლის კარები გაღებული მხედვდა... ეზოში შემოვიდა, ჭიშკარი ღია დამხვდა, გასაღები ეზოში ვიპოვე, ოთახებში ლოგინები გადატრიალებული დამხვდა, ტანსაცმელი გადმოყრილი იყო. სხვა შემთხვევაც მქონდა. დაახლოებით ღამის 2-3 საათზე ვილაყა ამოვიდა კიბეებზე, კარის სახელური აწვალა, 10 წუთი ხმაურობდა და წავიდა. გამოიხატა დაინყო, თუმცა ვერაფერი ვერაფერი გაარკვია. ამდენი შიშით სისხლის გათეთრება დამემართება.

არჩევნებისთვის ყველამ გამოიყენა, დავრჩი მარტო... ის ხალხი სად არის, ვინც გვერდით მედგა?! მე გოდერძი თევზაძეს ხელს არ ვადებ, რომ ის მკვლეელია, მაინტერესებს, დადგინდეს ნამდვილი მკვლელის ვინაობა, — განუცხადა ნიუპოსტს სტურუას დედა.

ნანა ჯოჯუა გამოძიების გაჭიანურების გამო უკმაყოფილოა და იმ საქმეს იხსენებს, რომელიც, შესაძლოა, მისი გარდაცვლილი შვილი ფიგურირებდეს.

— ტელეფონის დაკარგვის საქმე ხომ გახსოვთ, მიცვალე ბიჭის მობილური რომ დაიკარგა და დემურის აბრალებდნენ, მან მოიპარაო. რატომ არ გამოიძიეს ეს ეპიზოდი, სად არის ის მეორე ბიჭი, რომელიც ეს ტელეფონი ლომბარდში მიიტანა? რატომ ვერ ნახა გამოძიებამ, ეს მაინტერესებს. იქ ხომ მეორე ბიჭია დაფიქსირებული, ტელეფონი ხომ ლომბარდიდან ამოიღეს?! — თქვა ჯოჯუამ.

სტურუას დედას თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილის ხელახლა წაკითხვის შემდეგ ბევრი ეთხვა გააუჩნდა.

— ჩემმა შვილმა წერილი ცხრის ოც წუთზე დაწერა, ორ საათზე კი გოდერძი თევზაძემ ამოაკოხლა სახლში და რომ ვერ ნახა ამ ხნის განმავლობაში, სად იყო ჩემი შვილი, რატომ არ გაარკვია ეს მომენტი გამოძიებამ? არავის არ მჯერა. არც ექსპერტიზის არ მჯერა უკვე. ვინ უნდა მარტოებდეს, ვინ უნდა მამწარებდეს? — აცხადებს 22 წლის გარდაცვლილი ბიჭის დედა.

ნანა ჯოჯუა კატეგორიულად გამორიცხავს, რომ მას დაკავებული პოლიციელის თანამშრომლები ან ახლობლები აშინებდნენ.

— არა, არა გამორიცხულია. მაგის ეჭვი



### ჩემს სახლში ვილაყა მოდის და მაშინგან, საკუთარი სახლის კარები გაღებული მხედვდა... ეზოში შემოვიდა, ჭიშკარი ღია დამხვდა, გასაღები ეზოში ვიპოვე, ოთახებში ლოგინები გადატრიალებული დამხვდა, ტანსაცმელი გადმოყრილი იყო. სხვა შემთხვევაც მქონდა. დაახლოებით ღამის 2-3 საათზე ვილაყა ამოვიდა კიბეებზე, კარის სახელური აწვალა, 10 წუთი ხმაურობდა და წავიდა

მათი მხრიდან არ მაქვს. ნაცვლიშვილი (პირი, რომელიც ფიზიკურად გაუსწორდა) რომ გარეთ იყოს, იმაზე ნამდვილად მივიტანიდი ეჭვს, თუმცა ის დაკავებულია, — განაცხადა ჯოჯუამ შესაბამისი კითხვის საპასუხოდ.

დემურ სტურუას დედა არ გამორიცხავს, რომ მის შემინებას ნამდვილი დამნაშავე ცდილობს.

— წერილსაც დავუკვირდი, გოდერძი იქ მრავლობითში წერს. დამიგროვდა კითხვები, ვინ იყვნენ ის ბიჭები, რომლებმაც საჯავახოში ჩემ შვილს თვითმკვლელობამდე ცოტა ხნის წინ სცემეს? არ მაქვს პასუხი, საიდან გაჩნდნენ საჯავახოს ბიჭები შემთხვევის ადგილზე?! დემური რაც სახლში გადმოვასვენეთ, არც ერთი მათგანი ჩვენთან არ გამოჩენილა. რა ხდება, რატომ არ შეგვეხმიავენ ეს ბიჭები — ბევრი ეჭვი მაქვს!

მინდა, გამოიძიებამ ყველა კითხვას უპასუხოს. მინდა, დადგინდეს ნამდვილი მკვლელის ვინაობა. გოდერძი თუ მკვლეელია, რატომ არ უსჯიან, რატომ ჭიანჭურავენ სასამართლო პროცესების დაწყება? იმასაც ვფიქრობ, რომ გოდერძი არ არის მკვლეელი, ნამდვილ დამნაშავეს კი ვილაყა მფარველობს. ვეჭვობ, რომ სწორედ ის პირი ცდილობს ჩემ შემინებას, ვინც ნამდვილი დამნაშავეა, — აღნიშნა ჯოჯუამ.

ნანა ჯოჯუას განცხადებას მისივე ოჯახის წევრი, გარდაცვლილის გამზრდელი ბიძოლა დარიკო ჯაში კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ჯაშის თქმით, დემური წერილში ტყუილად არავის სახელს არ ახსენებდა. — დემურიცო წერილში ტყუილად არავის მოიხსენიებდა. სხვის სახელს დაწერდა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალით დაანერინეს წერილი, ეს სრული აბსურდი და სიცრუეა, — აცხადებს ჯაში.

გარდაცვლილის ბიძოლა არ გამორიცხავს, რომ ნანა ჯოჯუა დააშინეს.

— დღეს ყველაფერი ხდება, არ ვიცი, ვინ დააშინა. ვინ არამე შეუცვალა ამ ქალს ტვინი, არ ვიცი, — აცხადებს დემურ სტურუას ნათესავი.

დავით ჯაბაშვილი, ნიუპოსტი

## ბახტრიონვა 2 ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრის საქმე გახსნილია

შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინფორმაციით, ბახტრიონის ქუჩაზე 2 ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრის საქმე გახსნილია.

მისი თქმით, დაჭრილი ახალგაზრდების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

— მძიმე მდგომარეობაში არ არიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, დაწინაურებულია სასამართლო პროცესები, დაწინაურებულია სასამართლო პროცესების განხორციელება, — განაცხადა მღებრიშვილმა.

27 ოქტომბერს ბახტრიონზე 19 და 24 წლის 2 მამაკაცი, სავარაუდოდ ძმები, ცეც-

ხლასროლი იარაღით დაჭრეს. დანაშაული 162-ე სკოლის ტერიტორიაზე, მოედანზე მოხდა.

ადგილობრივებმა 7 გასროლის ხმა გაიგეს და სასწრაფოსაც სწორედ მათ გამოუძახეს. დაჭრილები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმის განცხადებით, მათ მრავლობითი ცეცხლსასროლი ჭრილობები აღენიშნებათ. შედარებით მძიმეა ერთ-ერთის, 19 წლის ახალგაზრდის, მდგომარეობა. მას ჭრილობა გულმკერდის არეში და ქვედა კიდურზე აქვს მიყენებული. დაჭრილს გვიან ღამით ოპერაცია ჩაუტარდა.

# საქართველოს 12 უწალო მოსამართლე ჰყავს

## გელა ნიკოლაიშვილი: „ამ შემადგენლობიდან ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც ამას იმსახურებს“

ნონა ცაბაძე

საქართველოს სასამართლოების ისტორიაში პირველად 12 უწალოდ დანიშნული მოსამართლე ჰყავს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ის მოსამართლეები, რომლებსაც 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა 29 ნოემბერს ეწურებოდა, თბილისსა და რეგიონების სასამართლოებში უწალოდ დაინიშნენ.

კანდიდატების უმეტესობასთან დაკავშირებით საბჭოს გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო, კანდიდატების მცირე ნაწილს კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრმა მხარი არ დაუჭირა.

უწალოდ დაინიშნა რამდენიმე რეზონანსული საქმის მოსამართლე, მათ შორის მეორე ინსტანციაში რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლე ნატალია ნაზლაძე, რომელსაც სააპელა-

რტიული პრინციპები არ არის დაცული, უწალოდ დანიშნა და კომფორტის შექმნა მოსამართლისა თუ ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის, შეიძლება, პირიქით, მისი დამორჩილების საშუალებად იქცეს.

— საით მიანიშნებთ? — სააკაშვილის დროს მოსამართლეებს შეუქმნეს სასაბურე პირობები, ამის სანაცვლოდ მოსთხოვეს სრული მორჩილება და მიიღეს კიდევ.

— დღეს არის ამის საფრთხე? — თუ ნორმალური მიდგომა იქნება, ისეთი, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებშია და მოსამართლეს ექნება თავისი მაღალი რანგის შესაბამისი სტატუსი და პირობები, აქ სახიფათო არაფერია, პირიქით, დამოკიდებულება იმაზე, მოსამარ-



— თუ მოსამართლე არის ღირსეული, კვალიფიციური და წესიერი ადამიანი, მაშინ ეს საფრთხე არ არსებობს, ხოლო თუ მოსამართლე იჯდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჯიბეში, ის იმავს გააგრძელებს! ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება, უწალოდ დანიშნა ერთმნიშვნელოვნად შევადგინო.

— ეს ინდივიდუალური საკითხია? — ყველა შემთხვევაში ეს არის ინდივიდუალური და დამოკიდებულია პიროვნებაზე. თუ ხელისუფლებას მიდრეკილება ექნება, რომ მოსამართლე დაიმორჩილოს, რა მნიშვნელობა აქვს, უწალოდ დანიშნული იქნება თუ არა?!

საკაშვილის დროს არცერთი არ ყოფილა უწალოდ დანიშნული, მაგრამ ყველა მოსამართლე მის ბრძანებას ასრულებდა. აქ ლაპარაკია პოლიტიკურ ნებაზე, როგორი იქნება მმართველი ძალის პოლიტიკური ნება.

— მურუსიძის საბჭოს მიერ დანიშნულ მოსამართლეებს ნრობას ვერ გამოვუცხადებთო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ.

— არის ამაში სამართლიანობის ნაწილი, თუმცა მე მაინც ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ ეს მურუსიძის საბჭოა, იმიტომ, რომ იქ არიან ინდივიდები. მართალია, მათი უმრავლესობა ის მოსამართლეები არიან, რომლებიც თვალდახუჭული ასრულებდნენ კულაშვილის ინსტრუქციებს და კულაშვილის საიდანაც იღებდა ბრძანებებს, ესეც ვიცი, მაგრამ ყველაფერი ინდივიდუალურია. ეს ეჭვი მეც მაქვს, მაგრამ ეს საბჭო გვაქვს ჩვენ, სხვა არ გვაქვს. ამიტომ ვილაყამ უნდა დანიშნოს.

— რამდენად გამჭვირვალე პროცესი იყო? — მე ვისურვებდი, რომ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო, უფრო მეტად ყოფილიყვნენ ჩართულნი ამ დანიშვნაში არასამთავრობოები, თუნდაც ადვოკატები, თუნდაც პროკურორები, ვისაც შეხება აქვს ამ მოსამართლეებთან და თავიანთი პოზიცია ჩამოეყალიბებინათ.

ცუდია, რომ ეს არ მოხდა. გაიზიარებდნენ თუ არა, ეს მეორე ამბავია, მაგრამ საზოგადოებას უნდა სცოდნოდეს, რომ ამ კონკრეტულ მოსამართლეებზე დასამორჩილების დასამორჩილებლად, მათ სასაბურე პირობებს უქმნის და ცდილობს, ეს მოსამართლეები შეგავლენს ქვეშ ამყოფოს. ამ საფრთხეს რამდენად ხედავთ?

— თუ ასეთი წესი დამკვიდრდება, შეიძლება, სამწლიანი ვადაც არ იყოს საჭირო და პირდაპირ დანიშნონ მოსამართლეებად. ვიმეორებ, თუ ეს ეხება იმ მოსამართლეებს, რომლებიც შეჩვეული არიან მონურ მორჩილებას, ეს ცუდი პროცესია. თუ მოსამართლე დამოუკიდებელი იქნება, მაშინ უწალოდ დანიშნვას მივესალმები.

— უკვე კეთდება შეფასებები, რომ ხელისუფლება ცდილობს, ახალი ტალღა აავსოს მოსამართლეების დასამორჩილებლად, მათ სასაბურე პირობებს უქმნის და ცდილობს, ეს მოსამართლეები შეგავლენს ქვეშ ამყოფოს. ამ საფრთხეს რამდენად ხედავთ?



ციო სასამართლოში უწალოდ დანიშნის საკითხზე მხარი საბჭოს 14-ვე წევრმა დაუჭირა.

ასევე უწალოდ დანიშნა გორის რაიონული სასამართლოში გერმანულ დადგენილებას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობისას გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის საქმის მოსამართლე იყო.

მოსამართლეები, რომელიც უწალოდ დაინიშნენ, თანამდებობაზე საპენსიო ასაკის მიღწევამდე იმუშავენ.

აღნიშნულ საკითხზე „ახალი თაობა“ იურისტ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.

— ბატონო გელა, საქართველოს სასამართლოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა მოსამართლეები უწალოდ დაინიშნენ. უკვე წამოვიდა სერიოზული კრიტიკა აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით. მხარს უჭერთ მოსამართლეების უწალოდ დანიშნვის წესს?

— ზოგადად, უწალოდ დანიშნვის წინააღმდეგი არ ვარ, რადგან ეს არის მათი დაცვის გარანტია, მაგრამ ამ შემადგენლობიდან ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც შეიძლება, უწალოდ დანიშნვას მივესალმები. ისეთი ქვეყანაში, სადაც დემოკ-

რტიული პრინციპები არ არის დაცული, უწალოდ დანიშნა და კომფორტის შექმნა მოსამართლისა თუ ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის, შეიძლება, პირიქით, მისი დამორჩილების საშუალებად იქცეს.

— საით მიანიშნებთ? — სააკაშვილის დროს მოსამართლეებს შეუქმნეს სასაბურე პირობები, ამის სანაცვლოდ მოსთხოვეს სრული მორჩილება და მიიღეს კიდევ.

— დღეს არის ამის საფრთხე? — თუ ნორმალური მიდგომა იქნება, ისეთი, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებშია და მოსამართლეს ექნება თავისი მაღალი რანგის შესაბამისი სტატუსი და პირობები, აქ სახიფათო არაფერია, პირიქით, დამოკიდებულება იმაზე, მოსამარ-

— თუ მოსამართლე არის ღირსეული, კვალიფიციური და წესიერი ადამიანი, მაშინ ეს საფრთხე არ არსებობს, ხოლო თუ მოსამართლე იჯდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჯიბეში, ის იმავს გააგრძელებს! ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება, უწალოდ დანიშნა ერთმნიშვნელოვნად შევადგინო.

— ეს ინდივიდუალური საკითხია? — ყველა შემთხვევაში ეს არის ინდივიდუალური და დამოკიდებულია პიროვნებაზე. თუ ხელისუფლებას მიდრეკილება ექნება, რომ მოსამართლე დაიმორჩილოს, რა მნიშვნელობა აქვს, უწალოდ დანიშნული იქნება თუ არა?!

საკაშვილის დროს არცერთი არ ყოფილა უწალოდ დანიშნული, მაგრამ ყველა მოსამართლე მის ბრძანებას ასრულებდა. აქ ლაპარაკია პოლიტიკურ ნებაზე, როგორი იქნება მმართველი ძალის პოლიტიკური ნება.

— მურუსიძის საბჭოს მიერ დანიშნულ მოსამართლეებს ნრობას ვერ გამოვუცხადებთო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ.

— არის ამაში სამართლიანობის ნაწილი, თუმცა მე მაინც ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ ეს მურუსიძის საბჭოა, იმიტომ, რომ იქ არიან ინდივიდები. მართალია, მათი უმრავლესობა ის მოსამართლეები არიან, რომლებიც თვალდახუჭული ასრულებდნენ კულაშვილის ინსტრუქციებს და კულაშვილის საიდანაც იღებდა ბრძანებებს, ესეც ვიცი, მაგრამ ყველაფერი ინდივიდუალურია. ეს ეჭვი მეც მაქვს, მაგრამ ეს საბჭო გვაქვს ჩვენ, სხვა არ გვაქვს. ამიტომ ვილაყამ უნდა დანიშნოს.

— რამდენად გამჭვირვალე პროცესი იყო? — მე ვისურვებდი, რომ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო, უფრო მეტად ყოფილიყვნენ ჩართულნი ამ დანიშვნაში არასამთავრობოები, თუნდაც ადვოკატები, თუნდაც პროკურორები, ვისაც შეხება აქვს ამ მოსამართლეებთან და თავიანთი პოზიცია ჩამოეყალიბებინათ.

ცუდია, რომ ეს არ მოხდა. გაიზიარებდნენ თუ არა, ეს მეორე ამბავია, მაგრამ საზოგადოებას უნდა სცოდნოდეს, რომ ამ კონკრეტულ მოსამართლეებზე დასამორჩილების დასამორჩილებლად, მათ სასაბურე პირობებს უქმნის და ცდილობს, ეს მოსამართლეები შეგავლენს ქვეშ ამყოფოს. ამ საფრთხეს რამდენად ხედავთ?



### ელექტროლები — ეს არის საუფრთხოესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლებთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი დამბები.

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160 რეჟიმი: 2 დაცულია გადახურებისგან.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (ვაჟა მხარა); ქ.ახალგაფრია, რუსთაველის 158 ტელ.: 218-21-86; 579-885-996.



### სლოვენიაში „ბელა გარდას“ წევრებს პატივი მიახვს



სლოვენის ქალაქ მარბორთან აღმოაჩინეს კომუნისტების მიერ დახვრეტილი სლოვენური ფორმირების „ბელა გარდას“ (თეთრი გვარდია) მებრძოლთა მასობრივი სამარხები. მათ პანაშვიდი გადაუხადეს, შემდეგ კი, როგორც სამშობლოსთვის დაცემული გმირები, პატივით დაკრძალეს. მეორე მსოფლიო ომის დროს „ბელა გარდას“ და მისი ლიდერი, გენერალი ლევ რუზნიკი, სლოვენის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. შექმნილი სიტუაციის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ, ჯერ იტალიაში დაემხრონ გერმანიას, შემდეგ კი ეთანამშრომლათ, თუმცა ისინი ბოლომდე ცდილობდნენ, თავიანთ ხალხს დახმარებოდნენ და, როგორც ნაცისტებისაგან, ასევე ტიტოს პარტიზანებისგან დაცვებოდნენ.

„ბელა გარდას“ წევრების დაკრძალვას სლოვენის პრეზიდენტი ბორუტ პაპორიცი დაესწრო. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ხდება არა ნაცისტების ან მათი დამკავშირებლების რეაბილიტაცია, არამედ სლოვენი პატრიოტებისთვის ჯეროვანი პატივის მიცემა.

— ისინი ნაცისტები არასოდეს ყოფილან, — განაცხადა პაპორმა.

### პენსილვანიაში ჰილარი კლინტონი ლიდარობს



პენსილვანიის შტატში ჰილარი კლინტონს მხარს 46% უჭერს, ტრამპს — 39%.

ამან, შესაძლოა, ძალთა განლაგებაზე უდიდესი ზეგავლენა იქონიოს. საქმე ისაა, რომ სწორედ პენსილვანიის შტატში ტრამპის ელექტორატი დიდია. აქ არიან თეთრკანიანი მუშები, რომლებიც მიგრანტების წინააღმდეგ ტრამპის აგიტაციას უნდა მოეხიბლა, თუმცა აქაც ჰილარი კონკურენტს სოლიდური უპირატესობით უსწრებს.

**ქველმოქმედების პროგრამები:**

კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატიკული ართროზის, ანკილოზიზური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცივებული ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მონესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე — ძვლის მკვებადებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნოლოგიის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუწვევება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38  
ქალბატონი ქეთათო

## უკრაინელმა ჰაკერებმა პუტინის მრჩველის ელფოსტა გატეხეს

### რას ითვალისწინებს რუსული ოპერაცია „შატუნი“

რუს ჰაკერებზე უკვე მთელი ლეგენდები დადის. ახლა კი მსოფლიო ალაპარაკდა უკრაინულ ჰაკერებზე, რომლებმაც პუტინის მრჩველის ელფოსტა გატეხეს და მრავალი საიდუმლო დოკუმენტი გაასაჯაროვეს.

სურკოვი პუტინის კარზე უკრაინას კურირებს. როგორც ჩანს, ის მართლაც ენერჯული და ნიჭიერი პიროვნებაა. მიომწერიდან ჩანს, რომ სურკოვმა საქმეს დიდი გაქანებით მოჰყიდა ხელი. ერთ-ერთ წერილში ის საუბრობს იმაზე, რომ აუცილებელია დონბასის დაბრუნება უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ მანამდე რეგიონს განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს.

სურკოვი ფრიად ამომწურავად საუბრობს იმ დივიდენდებზე, რომლებსაც კრემლს დონბასის განსაკუთრებული სტატუსი მისცემს. ეს საშუალებას აძლევს მისკოვს, შეინარჩუნოს სეპარატისტული სტრუქტურები (მოლაშქრეები და ა.შ.), გაიყვანოს უკრაინის პარლამენტში დიდი ოდენობით პრორუსულად განწყობილი ელემენტები, რაც უკრაინის ევროინტეგრაციას ძალზე შეაფერხებს. ამას გარდა, დონბასი გახდება პრეცედენტი დანარჩენი უკრაინისთვის, რაც საბოლოოდ მიიქცევა იმ ფედერალიზაციით დასრულდება.



სურკოვის ესმის, რომ უკრაინის ფედერალიზაცია მანამ ვერ მოხერხდება, სანამ კიევის სახით ძლიერი ცენტრი არსებობს. შესაბამისად, აუცილებელია დესტაბილიზაცია, რაც ამ ერთიან ცენტრს შეასუსტებს. ამ მიზნით შემუშავდა სპეცოპერაცია „შატუნი“, რომლის ჩატარებასაც რუსები 2016-2017 წლების ნოემბერ-მარტში გეგმავენ.

სურკოვის გეგმით, უკრაინაში უნდა შეიქმნას ერთიანი ოპორტიუნული ცენტრი, სადაც გაერთიანდებიან სხვადასხვა ორიენტაციის პარტიები, დაწყებული პრო-

რუსული ოპორტიუნული ბლოკიდან, დამთავრებული ეროვნულ-დემოკრატიული ორიენტაციის ბატკივშჩინით. ისინი უნდა გაერთიანდნენ მხოლოდ არსებული რეჟიმის შეცვლის იდეით. პარალელურად უნდა ჩატარდეს „დამოუკიდებელი“ ჟურნალისტური გამოძიებები, გასაჯაროვდეს პოროშენკოსა და მისი გარემოცვის კორუფციული სქემები.

წერილში სურკოვი აღნიშნავს, რომ უნდა მოხდეს როგორც რეალური, ისე გამოგონილი ფაქტების ურთიერთშერწყმა, რათა ხალხმა ეს ადვილად

დაიჯეროს. აგიტაციისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ფასების მატება, ომი, რაც, სურკოვის აზრით, ყველას აერთიანებს. სურკოვი ხმარობს ტერმინს ფინანსური მაიდანა, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ მასობრივი პროტესტების უმთავრესი მამოძრავებელი სოციალური პროტესტები უნდა გახდეს.

მასობრივი საპროტესტო ტალღის აზვირთებასთან ერთად, დაიწყება ავტონომიის მომხრეთა გააქტიურება ხარკოვში, ზაპოროჟიეში, ოდესაში და ა.შ. დასუსტებული კიევი ამისთვის ხელის შეშლას უკვე ვეღარ შეძლებს.

ბუნებრივია, სურკოვმა თავისი ელფოსტის გატეხისა თუ ოპერაცია „შატუნი“ მომზადების ფაქტი კატეგორიულად უარყო. პუტინის პრესმდივმა პესკოვმა განაჯაროებულ დოკუმენტებს მონაწილეს უწოდა, აშშ-ის თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯოშუა ერნსტმა კი განაცხადა:

